ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №8

18 მარტი 2022 წელი

13:00 საათი

ა/წ 18 მარტს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ლევან აბაშიძე;
3. ირაკლი ხელაძე;
4. ლილე ლიპარტელიანი;
5. ვახტან სურგულაძე;
6. მამუკა გუგეშაშვილი;
7. ნათია მოდებაძე;
8. ანა კაკაბაძე;

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების

შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი. კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

ცვლილებათა პაკეტი კომისიაზე წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა. წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-14 დადგენილებაში, კერძოდ აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „თ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების“ (კოდი: 06 02 08) ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებში. ქვეპროგრამის მოსარგებლეების განმარტების მუხლში დაზუსტდა, რომ ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მოსარგებლეები არიან სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირები, რომელთაც აღნიშნული სტატუსი მინიჭებული აქვთ ქალაქ თბილისში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს. ასევე მიმწოდებლის მიერ ანგარიშგებისას წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალიდან ამოღებულია ფორმა №IV-100/ა, აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის საჭიროება აღარ არსებობს ვინაიდან პირის ქვეპროგრამაში ჩართვის ეტაპზე უკვე ხდება ამ დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოდგენა. ასევე, მე-4 მუხლში გასწორდა ტერმინი და „კანონიერი წარმომადგენლის“ ნაცვლად ეთითება „წარმომადგენელი“.

დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილებაში, კერძოდ აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-5 და მე-9 მუხლებში.

იცვლება მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურა, კერძოდ ქვეპროგრამაში ვაკანტური ადგილის გაჩენისას ქვეპროგრამაში მოსარგებლეთა ჩართვა ხორციელდება არა მიმწოდებელის მიერ ქვეპროგრამის განმახორციელებელთან წარმოდგენილი სიის შესაბამისად, არამედ მიმწოდებლის წერილის საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. ამასთან, წესის მე-5 მუხლის პირველ პუნქტად გადმოტანილი იქნა წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი და მიეთითა, რომ ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით დაინტერესებულმა პირმა (მშობელი/კანონიერიწარმომადგენელი) უნდა მიმართოს მიმწოდებელს განცხადებით. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე მიმწოდებელი, დადგენილი ლიმიტის ფარგლებში გაჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, წერილით მიმართავს განმახორციელებელს პირის ქვეპროგრამაში ჩართვის მოთხოვნით. ქვეპროგრამაში ჩართვისას პრიორიტეტი მიენიჭება იმ პირს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა მიმწოდებელს განცხადებით.

ამასთან, წესის მე-9 მუხლს ემატება „6[1]" პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ქვეპროგრამაში ახალი დაწესებულების ჩართვისას (რეგისტრაციისას), ბენეფიციართა ჩართვის კუთხით, უპირატესობა მიენიჭება იმ ბენეფიციარს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა განცხადებით უკვე არსებულ მიმწოდებელ დაწესებულებას და არ მიუღია მომსახურება.

ამასთან სწორდება ტექნიკური უზუსტობები პუნქტების ნუმერაციასთან დაკავშირებით.

კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა დასვა კითხვა გამოიწვევს თუ არა „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის ცვლილება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილებას.

მომხსენებლის ინფორმაციით წარმოდგენილი ცვლილება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ცვლილებას და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ბიუეჯეტზე თანხის დამატება მოხდება გაკეთებული ეკონომიებიდან. ამასთან, ქვეპროგრამას დაემატა ახალი მიმწოდებელი, ,,ბავშვი, ოჯახი საზოგადოება'', რის საფუძველზეც დამატებით 30 ბავშვი შეძლებს ჩაერთოს ქვეპროგრამაში. გასული 4 წლის მანძილზე ჯამურად 700 ბავშვი დაემატა აღნიშნულ ქვეპროგრამას.

კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძე გამოთქვა მზაობა, დაიგეგმოს სამუშაო შეხვედრა ა/წ 25 მარტს აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე პირთა მშობლებთან, სერვისის მიმწოდებლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სადაც განხილული იქნება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე 18 წელს ზემოთ პირთა საჭიროებები.

აღნიშნულ ინიციატივას დადებითი გამოხმაურება მოყვა კომისიის წევრების მხრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები დააყენა კენჭისყრაზე. აღნიშნულ საკითხებს კომისიის წევრების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კომისიამ დაადგინა

წარმოდგენილი პროექტები განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე